

**დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა :**

შპს "საქართველოს ფასიანი  
ქალაქების ცენტრალური  
დეპოზიტარის" პარტნიორთა  
საერთო კრების მიერ,

**25 ოქტომბერი, 1999 წ.**

**ცვლილებები და დამატებები შეტანილია:**

შპს "საქართველოს ფასიანი  
ქალაქების ცენტრალური  
დეპოზიტარის" პარტნიორთა  
საერთო კრების მიერ,

**28 თებერვალი, 2000 წ.**

სს "საქართველოს ფასიანი ქალაქების  
ცენტრალური დეპოზიტარის"  
აქციონერთა საერთო კრების მიერ,

**19 მაისი, 2006 წ.**

სს "საქართველოს ფასიანი ქალაქების  
ცენტრალური დეპოზიტარის"  
სამეთვალყურეო საბჭოს მიერ:

**29 დეკემბერი, 2008 წ.**

**22 ნოემბერი, 2010 წ.**

**11 ნოემბერი, 2011 წ.**

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**“საქართველოს ფასიანი ქალაქების  
ცენტრალური დეპოზიტარის”**

**წევრთა შესახებ**

## I. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულება „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ წევრთა შესახებ“ (შემდგომში - „დებულება“) შემუშავებულია ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის, „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ (შემდგომში - „ცენტრალური დეპოზიტარი“) წესდებისა და სხვა მარეგულირებელი წესების შესაბამისად.

1.2. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ცენტრალური დეპოზიტარის წევრის (მონაწილის) მიღების წესს და პროცედურას, მოთხოვნებს, რომლებიც მათ წაეყენებათ, ასევე ცენტრალური დეპოზიტარის წესების დარღვევისათვის გათვალისწინებულ სანქციებს.

1.3. წინამდებარე დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობები, რაც „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ ოპერაციებისა და პროცედურების შესახებ“ წესებში და ცენტრალური დეპოზიტარის სხვა წესებში განსაზღვრულ ტერმინებს.

1.4. ცენტრალური დეპოზიტარის წევრები შეიძლება გახდნენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის შემდეგი რეზიდენტი და არარეზიდენტი მონაწილეები: კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საინვესტიციო ბანკები, საბროკერო კომპანიები, კოლექტიური საინვესტიციო სქემები (საინვესტიციო ფონდები, საპენსიო ფონდები და ა.შ.) ან სხვა საფინანსო ინსტიტუტები, ან კიდევ ემიტენტები, რომელთა ფასიანი ქაღალდები დაშვებულია ცენტრალურ დეპოზიტარში, და რომლებიც აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრული სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს (შემდგომში „მარეგულირებელი ორგანო“) წესების, ცენტრალური დეპოზიტარის წესდების, წინამდებარე დებულების მოთხოვნებს და ამ დებულებით წევრებისათვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

1.5. ცენტრალური დეპოზიტარის წევრი (მონაწილე) არის პირი – ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტი, რომელსაც უფლება აქვს გახდეს წევრი კანონის და ცენტრალური დეპოზიტარის წესების შესაბამისად, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე, წევრთა შესახებ დებულების მოთხოვნებს, გაფორმებული აქვს შესაბამისი (წევრობის) ხელშეკრულება. მისთვის მომსახურების გაწევა ხორციელდება წევრის კატეგორიის გათვალისწინებით.

1.6. ცენტრალური დეპოზიტარის წევრები სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ ოპერაციებისა და პროცედურების შესახებ წესის შესაბამისად და მათი სტატუსიდან, საქმიანობიდან და ცენტრალური დეპოზიტარისაგან მიღებული მომსახურებიდან გამომდინარე იყოფა სამ კატეგორიად, ესენია: მოვაჭრე წევრები, ინსტიტუციონალური წევრები და კასტოდიანი წევრები.

1.7. დებულების ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.8. დებულებას ამტკიცებს ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვლეყურეო საბჭო, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები.

## II. წევრად მიღების პროცედურა

2.1. ცენტრალური დეპოზიტარის წევრად გახდომისათვის წევრობის კანდიდატმა ცენტრალური დეპოზიტარის გენერალური დირექტორის სახელზე უნდა წარმოადგინოს განაცხადი (დანართი №1) და გადაიხადოს დეპოზიტარულ სისტემაში რეგისტრაციის გადასახადი.

2.2. განაცხადს თან უნდა დაერთოს მასში ჩამოთვლილი დოკუმენტები. არარეზიდენტი წევრობის კანდიდატის მიერ დოკუმენტები შეიძლება წარმოდგენილი იქნას ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

2.3. წევრობის კანდიდატებისაგან ცენტრალურმა დეპოზიტარმა უნდა მიიღოს წარმოდგენილი განაცხადი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

2.3.1. მისი საკუთარი კაპიტალი აღემატება 100 000 (ასი ათას) ლარს;

2.3.2. "საქართველოს საფონდო ბირჟაზე" (შემდგომში - "ბირჟა") განხორციელებულ გარიგებებზე ანგარიშსწორების მიზნით, გახსნილი აქვს ანგარიში ცენტრალური დეპოზიტარის მიერ დანიშნულ საანგარიშსწორებო ბანკში ან ბანკებში;

2.3.3. წევრობის კანდიდატის (გარდა ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტებისა) მმართველი ორგანოს არც ერთ წევრს: ჩამორთმეული არ აქვს მმართველ ორგანოში მონაწილეობის უფლება; ბოლო 10 წლის განმავლობაში არ ყოფილა ნასამართლევ ეკონომიკური დანაშაულისათვის; ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ჰქონია ადმინისტრაციული სახდელი ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის;

2.3.4. არ წარადგინა ყალბი მონაცემები ან არ გამოტოვა რაიმე მონაცემი ცენტრალური დეპოზიტარის მიერ მოთხოვნილი მატერიალური ფაქტების შესახებ ცენტრალური დეპოზიტარისათვის წარსადგენ განაცხადის დოკუმენტებში.

2.4. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ არ იქნება წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი, მისი განაცხადი განხილული არ იქნება.

2.5. წარმოდგენილი აუცილებელი დოკუმენტების სისწორეზე პასუხს აგებს განმცხადებელი.

2.6. განაცხადი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში გადაეცემა განსახილველად ცენტრალური დეპოზიტარის წევრთა სამსახურს.

2.7. ცენტრალური დეპოზიტარის წევრთა სამსახური შემოტანილ დოკუმენტებს განიხილავს მისი მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.8. ცენტრალური დეპოზიტარის წევრთა სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს განმცხადებლისგან დამატებითი ინფორმაცია შემოტანილ დოკუმენტებთან დაკავშირებული საკითხების დასაზუსტებლად.

2.9. შემოტანილ დოკუმენტებთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტების მიზნით განმცხადებლის მიერ დამატებითი ინფორმაციის წარდგენის მომენტიდან პუნქტ 2.7-ში მითითებული ვადა თავიდან აითვლება.

2.10. ცენტრალური დეპოზიტარის წევრთა სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის შემდგომ გენერალური დირექტორი აკეთებს დასკვნას, რომელსაც წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად.

2.11. თუ განმცხადებელი არ ეთანხმება ცენტრალური დეპოზიტარის დირექციის მოქმედებას, მას უფლება აქვს მიმართოს ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს.

2.12. წევრად მიღების შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს და პასუხი 1 სამუშაო დღის ვადაში გაეგზავნება განმცხადებელს.

2.13. წევრად მიღების დღედ ითვლება ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ამის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღე.

2.14. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება ცენტრალური დეპოზიტარის ყველა წევრს და მის მესაკუთრეებს.

2.15. წევრად მიღების შემდეგ წევრსა და ცენტრალურ დეპოზიტარს შორის ფორმდება ხელშეკრულება (დანართი №2).

### III. ცენტრალური დეპოზიტარის წევრთა უფლებები და მოვალეობები

3.1. ცენტრალური დეპოზიტარის წევრს გააჩნია შემდეგი უფლებები:

3.1.1. მოთხოვოს ცენტრალურ დეპოზიტარს დაუწესოს წევრებს სამართლიანი, კეთილგონივრული და არადისკრიმინაციული წესები, წევრობის თითოეული კატეგორიის ფარგლებში;

3.1.2. მოთხოვოს ცენტრალურ დეპოზიტარს დროულად და ზუსტად განახორციელოს ფასიანი ქაღალდებით გარიგებათა კლირინგი და ანგარიშსწორება, წესებით განსაზღვრული დროის პერიოდის ფარგლებში გარიგების მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულების შემთხვევაში;

3.1.3. მოთხოვოს მაღალეთიკური სტანდარტების და ნორმების დაცვა ცენტრალურ დეპოზიტარს, მის წევრებს და მათ თანამშრომლებს;

3.1.4. წარმოშობილი ქონებრივი დავების მოსაგვარებლად მოსალაპარაკებლად მიმართოს ცენტრალურ დეპოზიტარს ან ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობის შესაბამისად;

3.1.5. ისარგებლოს ცენტრალური დეპოზიტარის მომსახურებით დადგენილი წესით;

3.1.6. მიიღოს ამონაწერი მისი ანგარიშების მდგომარეობის შესახებ დადგენილი წესით;

3.1.7. მიმართოს ცენტრალური დეპოზიტარის გენერალურ დირექტორს წევრის ან ცენტრალური დეპოზიტარის თანამშრომლის მიერ ცენტრალური დეპოზიტარის მარეგულირებელი წესების დარღვევის შესახებ;

3.1.8. მიიღოს მონაწილეობა წევრთა საერთო კრებაში, აირჩიოს ან წარდგენილ იქნეს მისი წარმომადგენლის მეშვეობით წევრთა კომიტეტში, წარადგინოს თავისი კანდიდატურები ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნებში.

3.2. ცენტრალური დეპოზიტარის წევრის ძირითადი მოვალეობებია:

3.2.1. სრულად და უპირობოდ დაიცვას ცენტრალური დეპოზიტარის წესების მოთხოვნები და შეასრულოს ცენტრალური დეპოზიტარის მმართველი ორგანოების განკარგულებები თავის საქმიანობაში და ცენტრალური დეპოზიტარის საშუალებით განხორციელებულ ყველა გარიგებაში;

3.2.2. დაიცვას ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ეთიკისა და დისციპლინურ დარღვევათა საპროცესო კოდექსის ნორმები;

- 3.2.3. დაიცვას ტექნიკური, ტექნოლოგიური და კომერციული ხასიათის ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომლის გამჟღავნებამაც ზიანი შეიძლება მიაყენოს ცენტრალურ დეპოზიტარს, მის წევრებს და მათ კლიენტებს;
- 3.2.4. დროულად გადაიხადოს ცენტრალური დეპოზიტარის მიერ დაწესებული დეპოზიტარული სისტემის მონაწილის მომსახურების ყოველთვიური შესატანი და სხვა გადასახდელები, დაკისრებული ჯარიმები, რომლებიც შესაძლოა მას დაეკისროს ცენტრალური დეპოზიტარის წესების დარღვევისათვის;
- 3.2.5. ხელი შეუწყოს ცენტრალური დეპოზიტარის საწესდებო ამოცანების შესრულებას, დაიცვას მისი ინტერესები და იზრუნოს მისი ავტორიტეტისა და პრესტიჟის დაცვაზე;
- 3.2.6. დროულად შეატყობინოს ცენტრალური დეპოზიტარის მმართველ ორგანოს მის ფინანსურ და იურიდიულ სტატუსში მომხდარი ან მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინონ წევრების ვალდებულებების შესრულებაზე ცენტრალური დეპოზიტარის, მისი წევრების და კლიენტების მიმართ;
- 3.2.7. ცენტრალურ დეპოზიტართან ან სხვა წევრებთან წარმოშობილი დავების მოსაგვარებლად მიმართოს ცენტრალური დეპოზიტარის წესდების 10.1. პუნქტითა და წინამდებარე დებულების 3.1.4. პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს;
- 3.2.8. სრულად და დროულად შეასრულოს აღებული ვალდებულებები ფასიანი ქაღალდების ან ფულადი სახსრების მიწოდების შესახებ;
- 3.2.9. დაიცვას აღრიცხვის ინსტრუქციები და წესები;
- 3.2.10. სრულად და უპირობოდ დაემორჩილოს ცენტრალური დეპოზიტარის წესებში და განკარგულებებში შეტანილ ცვლილებებს ასეთი ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ. ამასთან, ასეთმა ცვლილებებმა არ უნდა დაუკარგონ წევრს იმის უფლება, რომ მან უარი თქვას წევრობაზე;
- 3.2.11. მისცეს ცენტრალურ დეპოზიტარს წერილობითი თანხმობა იმის შესახებ, რომ თანახმაა ცენტრალური დეპოზიტარის უფლებამოსილ წარმომადგენელს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე, სამუშაო საათების განმავლობაში, უჩვენოს თავისი წიგნები და ჩანაწერები, წევრის ცენტრალურ დეპოზიტართან ურთიერთობის ფარგლებში, მათ შორის მატერიალური და ელექტრონული დოკუმენტები, აგრეთვე კომპიუტერში შეტანილი მონაცემები. ხოლო კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით, წინასწარ შეტყობინების გარეშე, დაუყოვნებლივ უჩვენოს მოთხოვნილი დოკუმენტები თუ ჩანაწერები;
- 3.2.12. ცენტრალურ დეპოზიტარში აწარმოოს ანგარიშები კანონმდებლობის, მარეგულირებელი წესების და ცენტრალური დეპოზიტარის წესების შესაბამისად, ამასთან კლიენტებისა და საკუთარი ანგარიშები აწარმოოს განცალკევებულად;
- 3.2.13. დააკმაყოფილოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ორგანოს ან იმ თვითრეგულირებადი ორგანიზაციის ნებისმიერი მოთხოვნა, რომლის წევრიც თვითონ არის;
- 3.2.14. ფლობდეს მისი საქმიანობისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ ლიცენზიას.

3.2.15. დროულად (2 დღის ვადაში) შეატყობინოს ცენტრალური დეპოზიტარის გენერალურ დირექტორს მის მიერ წევრად მიღების დროს წარმოდგენილ განაცხადში ან/და განაცხადზე დართულ დოკუმენტებში მომხდარი ცვლილების შესახებ.

#### IV. წევრის ანგარიშის შეჩერება

4.1. ცენტრალური დეპოზიტარის გენერალურ დირექტორს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის" დისციპლინურ დარღვევათა საპროცესო კოდექსის" შესაბამისად, უფლება აქვს დაუყოვნებლივ დროებით შეუჩეროს წევრს ანგარიში შემდეგ შემთხვევებში:

4.1.1. წევრის მიერ ბირჟის სავაჭრო სისტემაში დადებული გარიგებების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ფასიანი ქაღალდების ან ფულადი სახსრების მიწოდებისას;

4.1.2. ამა თუ იმ თვითრეგულირებადი ორგანიზაციის მიერ წევრის საქმიანობის შეჩერება;

4.1.3. დეპოზიტარული სისტემის მონაწილის მომსახურების ყოველთვიური შესატანის გადახდის დაგვიანება;

4.1.4. როდესაც წევრი ვერ ახორციელებს რაიმე თანხის ანგარიშსწორებას, რომელიც უნდა განხორციელდეს ცენტრალური დეპოზიტარის სასარგებლოდ, იმ ზარალის ანაზღაურების ჩათვლით, რომელიც ამ წევრმა შესაძლოა მიაყენოს ცენტრალურ დეპოზიტარს;

4.1.5. წევრი ვეღარ აკმაყოფილებს საწყისი კაპიტალის მოთხოვნებს (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში);

4.1.6. წევრის მიერ საქართველოს ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევა, ცენტრალური დეპოზიტარის რაიმე წესის, განკარგულების, პროცედურის ან ხელშეკრულების დარღვევა;

4.1.7. როდესაც წევრი განიცდის ისეთ ფინანსურ ან საოპერაციო სიძნელეებს, რომ ცენტრალური დეპოზიტარი იღებს გადაწყვეტილებას, რომ ანგარიშის ასეთი შეჩერება აუცილებელია ცენტრალური დეპოზიტარის, მისი მონაწილეების, კრედიტორების ან ინვესტორების დასაცავად და ამის შესახებ აცნობებს მარეგულირებელ ორგანოს;

4.1.8. წინამდებარე დებულების 3.2 პუნქტით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობა.

4.2. ცენტრალური დეპოზიტარის წევრს მისთვის ანგარიშის დროებით შეჩერება არ ათავისუფლებს 6.1 და 6.2 პუნქტებით გათვალისწინებული დეპოზიტარული სისტემის მონაწილის მომსახურების ყოველთვიური შესატანისა და სხვა გადასახდელების გადახდისაგან.

4.3. წევრისათვის ანგარიშის დროებით შეჩერების შემთხვევაში ცენტრალური დეპოზიტარი იმავე დღეს აქვეყნებს და წევრებს ელექტრონულად უგზავნის ამის შესახებ ინფორმაციას.

4.4. 4.1 პუნქტში აღნიშნული დარღვევების აღმოფხვრის შემთხვევაში, "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის" დისციპლინურ დარღვევათა საპროცესო კოდექსის" შესაბამისად, ცენტრალური დეპოზიტარის გენერალური დირექტორის მიერ წევრს კვლავ მიეცემა უფლება მართოს ანგარიშები.

4.5. წევრისათვის ანგარიშის მართვის უფლების აღდგენის შემთხვევაში ცენტრალური დეპოზიტარი იმავე დღეს აქვეყნებს და წევრებს ელექტრონულად უგზავნის ამის შესახებ ინფორმაციას.

## V. ცენტრალური დეპოზიტარის წევრობის შეწყვეტა

5.1. ცენტრალური დეპოზიტარის წევრობის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს:

5.1.1. წევრის განცხადება წევრობიდან გასვლის შესახებ;

5.1.2. წევრის გაკოტრება ან გადახდისუუნაროდ გამოცხადება კანონმდებლობის შესაბამისად;

5.1.3. წევრის, როგორც იურიდიული პირის ლიკვიდაცია;

5.1.4. წევრისათვის სათანადო ლიცენზიის გაუქმება;

5.1.5. მოვაჭრე წევრისათვის ბირჟის წევრობის შეწყვეტა;

5.1.6. როდესაც ცენტრალურ დეპოზიტარს აქვს არგუმენტირებული საფუძველი, რომ ირწმუნოს წევრის თაღლითობა ან არაკეთილსინდისიერი ქმედება, ან მატერიალური ფაქტის გაყალბება ან დამალვა ცენტრალური დეპოზიტარისთვის წევრის მიერ წარდგენილ რაიმე ანგარიშში;

5.1.7. წევრის მიერ არასაბიზნო ან ბირჟის სავაჭრო სისტემაში დადებული გარიგებების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობა ფასიანი ქაღალდების ან ფულადი სახსრების მიწოდებისას;

5.1.8. წევრის ისეთი ფინანსური ან საოპერაციო სიძნელეების არსებობა, როდესაც ცენტრალური დეპოზიტარი იღებს გადაწყვეტილებას და აცნობებს მარეგულირებელ ორგანოს, რომ ანგარიშების ასეთი დახურვა აუცილებელია ცენტრალური დეპოზიტარის, მისი სხვა წევრების, კრედიტორების ან ინვესტორების დასაცავად.

5.2. 5.1.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, წევრი წარადგენს განცხადებას ცენტრალური დეპოზიტარის გენერალური დირექტორის სახელზე 15 დღით ადრე.

5.3. 5.1.2-5.1.5 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, წინამდებარე დებულების

3.2.6 პუნქტის თანახმად, წევრი ვალდებულია აცნობოს ცენტრალური დეპოზიტარის წევრთა სამსახურს დაუყოვნებლივ მომხდარი ფაქტის შესახებ.

5.4. წევრთა სამსახურის მიერ მიწოდებული სათანადო ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, გენერალური დირექტორი აკეთებს დასკვნას, რომელსაც წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად და უჩერებს წევრს ანგარიშებს.

5.5. ცენტრალური დეპოზიტარის წევრობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო.

5.6. წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში ცენტრალური დეპოზიტარი იმავე დღეს აქვეყნებს და წევრებს ელექტრონულად უგზავნის ამის შესახებ ინფორმაციას.

5.7. წევრობის შეწყვეტის დღედ ითვლება ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დღე, თუ სხვა რამ არ იქნა გათვალისწინებული სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით.

5.8. წევრობის შეწყვეტის მომენტიდან წევრს უწყდება წევრობიდან გამომდინარე უფლებები და მას აღარ დაეკისრება დამატებითი მოვალეობები, ამასთან იგი ვალდებულია სრულად შეასრულოს წევრობის შეწყვეტამდე წარმოქმნილი ვალდებულებები.

## VI. გადასახდელები

6.1. ცენტრალური დეპოზიტარის წევრები ვალდებული არიან გადაიხადონ დეპოზიტარული სისტემის მონაწილის მომსახურების ყოველთვიური შესატანი (დანართი №3) და სხვა გადასახდელები ცენტრალური დეპოზიტარის მიერ დადგენილი მომსახურების ტარიფების შესაბამისად.

6.2. დეპოზიტარული სისტემის მონაწილის მომსახურების ყოველთვიური შესატანისა და სხვა გადასახდელების ოდენობას, მათი გადახდის პერიოდულობას და გადახდის წესს განსაზღვრავს ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭო.

6.3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დეპოზიტარული სისტემის მონაწილის მომსახურების ყოველთვიური შესატანი, გადასახდელები და ჯარიმები ცენტრალური დეპოზიტარის მიერ მოიხსნება წევრის კლირინგისა და ანგარიშსწორების მომსახურებისთვის გახსნილი ანგარიშიდან მფლობელთან შეთანხმებით, ან მასთან შეთანხმების გარეშე იმ შემთხვევაში, თუ ეს გადასახდელები გადახდილი არ იქნება დადგენილ ვადებში.

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების  
ცენტრალური დეპოზიტარის“  
გენერალურ დირექტორს

---

(ორგანიზაციის სახელწოდება)

---

(თანამდებობის პირი, სახელი და გვარი)

## გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

გთხოვთ, განიხილოთ ჩვენი განაცხადი და გვიშუამდგომლოთ  
სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური  
დეპოზიტარის“ \_\_\_\_\_ წევრად მიღებაზე.

(მოვაჭრე, ინსტიტუციური, კასტოდიანი)

განაცხადს თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

1. წესდების ნოტარიულად დამოწმებული ასლი წარმოდგენის მომენტისათვის ყველა ცვლილების გათვალისწინებით;\*
2. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული იურიდიული პირის სახელმწიფო რეგისტრაციის მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი წარმოდგენის მომენტისათვის ყველა ცვლილების გათვალისწინებით;\*
3. უახლესი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
4. სახელმწიფო შემოსავლების სამსახურის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) სარეგისტრაციო ფორმა გადასახადის გადამხდელთა რეესტრში ჩართვისა და საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებისათვის;
5. ცნობა წევრობის კანდიდატის მმართველი ორგანოს შესახებ;
6. განაცხადი ნდობით აღჭურვილი პირის შესახებ, რომელიც მოიცავს არაუმეტეს სამ პიროვნებას, რომლებიც უფლებამოსილი იქნებიან იმოქმედონ ცენტრალურ დეპოზიტართან დადებული წევრობის ხელშეკრულების ფარგლებში და გადასცენ დავალებები ცენტრალურ დეპოზიტარს ანგარიშების მომსახურების მიზნით. ამასთან, განაცხადში მითითებული უნდა იყოს მონაცემები პიროვნებათა ვინაობის შესახებ, თითოეული პირის ნოტარიულად დამოწმებული ფაქსიმილიები და თითოეული პირის ორი ფოტოსურათი;
7. უფლებამოსილი ორგანოს მიერ წევრობის კანდიდატისათვის სათანადო საქმიანობაზე გაცემული ლიცენზიის ასლი;\*

8. მოვაჭრე წევრის სტატუსის მოსაპოვებლად - იმ საფონდო ბირჟის წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც ემსახურება ცენტრალური დეპოზიტარი;
9. დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დამოწმებული ბოლო წლის დადგენილი ფორმის ფინანსური ანგარიშგება ან ცნობა საკუთარი კაპიტალის ოდენობაზე;
10. საგადასახადო დავალების ასლი ცენტრალური დეპოზიტარში დეპოზიტარულ სისტემაში რეგისტრაციის გადასახადის გადახდაზე.

ხელმოწერა: \_\_\_\_\_

თარიღი: \_\_\_\_\_

ბ.ა.

\* - უცხო ქვეყნის იურიდიული პირების შემთხვევაში დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს აპოსტილით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

## ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

### წევრობის შესახებ

ქ. თბილისი

„-----“ „“-----“, 2010 წ.

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურმა დეპოზიტარმა“ (შემდგომში - „ცენტრალური დეპოზიტარი“), გენერალური დირექტორის გაიოზ სანაძის სახით, რომელიც მოქმედებს ცენტრალური დეპოზიტარის წესდების საფუძველზე, ერთის მხრივ და \_\_\_\_\_ (შემდგომში „წევრი“), მისი \_\_\_\_\_ სახით, რომელიც მოქმედებს წევრის წესდების საფუძველზე, მეორეს მხრივ, დადეს ხელშეკრულება შემდეგზე:

#### I. ზოგადი დებულებები

- 1.1. ამ ხელშეკრულებით წევრი აღიარებს ცენტრალური დეპოზიტარის წესდების, წესების, სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების მოთხოვნებს და იღებს ვალდებულებას განუხრელად დაიცვას ისინი.
- 1.2. ცენტრალური დეპოზიტარი ვალდებულია წევრს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე გააცნოს საკუთარი წესდება, წესები და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები.

#### II. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. წევრობის კანდიდატი ხდება ცენტრალური დეპოზიტარის წევრი და იღებს ვალდებულებას განუხრელად შეასრულოს ცენტრალური დეპოზიტარის წესდებითა და წესებით დადგენილი ნორმები და ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

#### III. მხარეთა ვალდებულებები

- 3.1. ცენტრალური დეპოზიტარი ვალდებულია:

- 3.1.1. ცენტრალური დეპოზიტარის ფუნქციების შესრულების დაწყებისთანავე გააფორმოს წევრთან სათანადო ხელშეკრულება მომსახურებაზე;
- 3.1.2. უზრუნველყოს ცენტრალური დეპოზიტარის ერთი და იგივე კატეგორიის წევრთათვის მომსახურების თანაბარი პირობები მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად;
- 3.1.3. უზრუნველყოს ცენტრალური დეპოზიტარის წევრთა ფასიანი ქაღალდებით გარიგებათა დროული და ზუსტი კლირინგი და ანგარიშსწორება;

- 3.1.4. ერთი და იგივე კატეგორიის წევრებს დაუდგინოს სამართლიანი, კეთილგონივრული და არადისკრიმინაციული წესები;
- 3.1.5. განსაზღვროს წევრთა ქცევის მაღალეთიკური სტანდარტები და ნორმები და მოთხოვოს მათი დაცვა ცენტრალური დეპოზიტარის წევრებსა და მათ თანამშრომლებს;
- 3.1.6. უზრუნველყოს უთანხმოებათა მოგვარების მექანიზმის შემუშავება მოქმედი კანონმდებლობის და ცენტრალური დეპოზიტარის წესდების შესაბამისად;
- 3.1.7. უზრუნველყოს წევრი ცენტრალური დეპოზიტარის წესებით, ამ წესებით გათვალისწინებული აუცილებელი ინფორმაციით და დროულად აცნობოს მათში შეტანილი ყველა ცვლილებისა და დამატების შესახებ;
- 3.1.8. განახორციელოს კონტროლი წევრთა მიერ აღრიცხვის ინსტრუქციებისა და წესების დაცვაზე.

### 3.2. წევრი ვალდებულია:

- 3.2.1. ცენტრალური დეპოზიტარის ფუნქციების შესრულების დაწყებისთანავე გააფორმოს მასთან სათანადო ხელშეკრულება მომსახურებაზე;
- 3.2.2. სრულად და უპირობოდ დაიცვას ცენტრალური დეპოზიტარის წესების მოთხოვნები და შეასრულოს ცენტრალური დეპოზიტარის მმართველი ორგანოების განკარგულებები თავის საქმიანობაში და ცენტრალური დეპოზიტარის საშუალებით განხორციელებულ ყველა გარიგებაში;
- 3.2.3. დაიცვას ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ეთიკისა და დისციპლინურ დარღვევათა საპროცესო კოდექსის ნორმები;
- 3.2.4. დაიცვას ტექნიკური, ტექნოლოგიური და კომერციული ხასიათის ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომლის გამჟღავნებამაც ზიანი შეიძლება მიაყენოს ცენტრალურ დეპოზიტარს, მის წევრებსა და მათ კლიენტებს;
- 3.2.5. დროულად გადაიხადოს ცენტრალური დეპოზიტარის მიერ დაწესებული დეპოზიტარული სისტემის მონაწილის მომსახურების ყოველთვიური შესატანი და სხვა გადასახდელები, აგრეთვე დაკისრებული ჯარიმები, რომლებიც შესაძლოა მას დაეკისროს დეპოზიტარის წესების დარღვევისათვის;
- 3.2.6. ხელი შეუწყოს ცენტრალური დეპოზიტარის საწესდებო ამოცანების შესრულებას, დაიცვას მისი ინტერესები და იზრუნოს მისი ავტორიტეტისა და პრესტიჟის დაცვაზე;
- 3.2.7. დროულად შეატყობინოს ცენტრალური დეპოზიტარის მმართველ ორგანოს მათ ფინანსურ და იურიდიულ სტატუსში მომხდარი ან მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინონ მათი ვალდებულებების შესრულებაზე ცენტრალური დეპოზიტარის, მისი წევრებისა და კლიენტების მიმართ;
- 3.2.8. ცენტრალურ დეპოზიტართან ან სხვა წევრებთან წარმოშობილი დავების მოსაგვარებლად მოსალაპარაკებლად მიმართოს ცენტრალურ დეპოზიტარს ან ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს

კანონმდებლობის, ცენტრალური დეპოზიტარის წესდებისა და წევრთა შესახებ დებულების შესაბამისად;

3.2.9. სრულად და დროულად შეასრულოს აღებული ვალდებულებები ფასიანი ქაღალდების ან ფულადი სახსრების მიწოდების შესახებ;

3.2.10. დაიცვას აღრიცხვის ინსტრუქციები და წესები;

3.2.11. სრულად და უპირობოდ დაემორჩილოს ცენტრალური დეპოზიტარის წესებში და განკარგულებებში შეტანილ ცვლილებებს ასეთი ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ. ამასთან, ასეთმა ცვლილებებმა არ უნდა დაუკარგონ წევრს იმის უფლება, რომ მან უარი თქვას წევრობაზე;

3.2.12. ვალდებულია და თანახმაა ცენტრალური დეპოზიტარის უფლებამოსილ წარმომადგენელს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე, სამუშაო საათების განმავლობაში, უჩვენოს თავისი წიგნები და ჩანაწერები, წევრის ცენტრალურ დეპოზიტართან ურთიერთობის ფარგლებში, მათ შორის მატერიალური და ელექტრონული დოკუმენტები, აგრეთვე კომპიუტერში შეტანილი მონაცემები. ხოლო კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით, წინასწარ შეტყობინების გარეშე, დაუყოვნებლივ უჩვენოს მოთხოვნილი დოკუმენტები თუ ჩანაწერები;

3.2.13. ცენტრალურ დეპოზიტარში აწარმოოს ანგარიშები კანონმდებლობის, მარეგულირებელი წესების და ცენტრალური დეპოზიტარის წესების შესაბამისად, ამასთან კლიენტებისა და საკუთარი ანგარიშები აწარმოოს განცალკევებულად;

3.2.14. დააკმაყოფილოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ორგანოს ან იმ თვითრეგულირებადი ორგანიზაციის ნებისმიერი მოთხოვნა, რომლის წევრიც თვითონ არის;

3.2.15. ფლობდეს მისი საქმიანობისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ ლიცენზიას;

3.2.16. დროულად (2 დღის ვადაში) შეატყობინოს ცენტრალური დეპოზიტარის გენერალურ დირექტორს მის მიერ წევრად მიღების დროს წარმოდგენილ განაცხადში ან/და განაცხადზე დართულ დოკუმენტებში მომხდარი ცვლილების შესახებ.

#### IV. მხარეთა უფლებები

4.1. ცენტრალური დეპოზიტარი უფლებამოსილია:

4.1.1. წევრს მოთხოვოს მისი წესების, შინაგანაწესის, ცენტრალური დეპოზიტარის მმართველი ორგანოს განკარგულებების შესრულება და დამორჩილება;

4.1.2. წევრის მიმართ გამოიყენოს სანქციები (გარიცხვა, ანგარიშის შეჩერება და შეზღუდვა, საყვედურის გამოცხადება, დაჯარიმება და სხვ) 4.1.1 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში;

4.1.3. განახორციელოს წევრის მიერ აღრიცხვის ინსტრუქციებისა და წესების დაცვის კონტროლი;

4.1.4. წარმოშობილი ქონებრივი დავა მოაგვაროს მხარესთან მოლაპარაკების გზით ან ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს

კანონმდებლობის, ცენტრალური დეპოზიტარის წესდებისა და წევრთა შესახებ დებულების შესაბამისად;

4.1.5. უფლებამოსილია ყოველწლიურად დაეყრდნოს ბირჟიდან უშუალოდ მისთვის მიწოდებულ ინფორმაციას, ყოველ სავაჭრო სესიაზე დადებულ გარიგებათა შესახებ ანგარიშის ჩათვლით და არ აგებს პასუხს იმ ზარალზე, რომელიც წარმოიქმნება ინფორმაციის ამ წყაროზე დაყრდნობის შედეგად;

4.1.6. ნებისმიერ შემთხვევაში დაეყრდნოს წევრის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას გარიგების შესახებ. დეპოზიტარი არ არის პასუხისმგებელი ასეთი ინფორმაციის გამოყენების შედეგად წარმოშობილი ზარალის დაფარვაზე.

#### 4.2. წევრი უფლებამოსილია:

4.2.1. მოთხოვოს ცენტრალურ დეპოზიტარს დაუწესოს წევრებს და წევრობის კანდიდატებს სამართლიანი, კეთილგონივრული და არადისკრიმინაციული წესები წევრობის თითოეული კატეგორიის ფარგლებში;

4.2.2. მოთხოვოს ცენტრალურ დეპოზიტარს დროულად და ზუსტად განახორციელოს ფასიანი ქაღალდებით გარიგებათა კლირინგი და ანგარიშსწორება, წესებით განსაზღვრული დროის პერიოდის ფარგლებში გარიგების მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულების შემთხვევაში;

4.2.3. მოთხოვოს ცენტრალურ დეპოზიტარს უზრუნველყოს მის თანამშრომლებისა და წევრების მიერ მაღალეთიკური სტანდარტებისა და ნორმების დაცვა;

4.2.4. წარმოშობილი ქონებრივი დავა მოაგვაროს ცენტრალურ დეპოზიტართან მოლაპარაკების გზით ან ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობის, ცენტრალური დეპოზიტარის წესდებისა და წევრთა შესახებ დებულების შესაბამისად;

4.2.5. ისარგებლოს ცენტრალური დეპოზიტარის სამსახურების მომსახურებით, მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად;

4.2.6. დადგენილი წესით მიიღოს ამონაწერი მისი ანგარიშების მდგომარეობის შესახებ;

4.2.7. მიმართოს ცენტრალური დეპოზიტარის გენერალურ დირექტორს წევრის ან ცენტრალური დეპოზიტარის თანამშრომლის მიერ ცენტრალური დეპოზიტარის მარეგულირებელი წესების დარღვევის შესახებ;

4.2.8. მიიღოს მონაწილეობა წევრთა საერთო კრებაში, აირჩიოს ან წარდგენილი იქნეს მისი წარმომადგენლის მეშვეობით წევრთა კომიტეტში, წარადგინოს თავისი კანდიდატურები ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნებში.

### V. მხარეთა პასუხისმგებლობები

5.1. ცენტრალური დეპოზიტარი პასუხისმგებელია ყველა იმ ზარალზე, რომელიც გამოწვეულია ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე არასწორი დეპონირებით, ფასიანი ქაღალდების ან ფულადი სახსრების არასწორი დადებებებით ან დაკრედიტებით, სხვა

ქმედებებით, რომელსაც ასრულებს ცენტრალური დეპოზიტარი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში.

5.2. ცენტრალური დეპოზიტარი პასუხისმგებელია ყველა სხვა პრეტენზიაზე, რომელიც დაკავშირებულია მისი თანამშრომლის ან წარმომადგენლის დაუდევრობით, თაღლითობით ან კრიმინალური ქმედებით მიყენებულ ზარალთან.

5.3. ცენტრალური დეპოზიტარი არ არის პასუხისმგებელი ფასიანი ქაღალდების საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ პრეტენზიებზე, რომლებიც წარმოიშვა წევრის მიერ ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის ან თვითრეგულირებადი ორგანიზაციების წესების შეუსაბამო პრაქტიკის გამოყენების ან წევრისგან არასწორი თუ არასრული დავალების მიღების შედეგად.

5.4. ცენტრალური დეპოზიტარი არავითარ პასუხისმგებლობას არ იღებს წევრსა და მის კლიენტებს შორის ანგარიშსწორების სიზუსტეზე, დროულობასა და სისრულეზე.

5.5. ცენტრალური დეპოზიტარი არ არის პასუხისმგებელი საანგარიშსწორებო ბანკის მიერ წევრის ან ცენტრალური დეპოზიტარის დავალების შეუსრულებლობაზე ან არასრულად (არასწორად) შესრულებაზე.

5.6. წევრი სრულად არის პასუხისმგებელი იმ კლიენტებზე, რომლებსაც თვითონ წარმოადგენს და უნდა დააკმაყოფილოს ის ვალდებულება და იურიდიული საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ამ კლიენტებისადმი, ცენტრალური დეპოზიტარის ან სხვა ნებისმიერი მხარის მიმართ დანაშაულის, უგულებელყოფის ან დეფოლტის შემთხვევაში.

5.7. წევრი ვალდებულია აუნაზღაუროს ცენტრალურ დეპოზიტარს ის ზარალი და გაწეული ხარჯები, რომლებიც რაიმე სახით დაკავშირებულია წევრის ანგარიშზე განთავსებულ ფასიან ქაღალდებთან და ფულად სახსრებთან, ან გამოწვეულია წევრის თანამშრომელთა გულგრილობით, შეცდომით, არასწორი ინფორმაციის წარდგენით ან თაღლითობით.

5.8. “საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის წევრთა შესახებ” დებულების 6.1-6.2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში წევრის მიერ დეპოზიტარული სისტემის მონაწილის მომსახურების ყოველთვიური შესატანის ან სხვა გადასახდელების გადახდის დაგვიანებისათვის ან არასრულად გადახდისათვის დეპოზიტარს უფლება აქვს მას დააკისროს საურავის გადახდა გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ გადაცილებულ დღეზე.

5.9. წევრის მიერ ამ ხელშეკრულებისა და ცენტრალური დეპოზიტარის წესების და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების დარღვევის შემთხვევაში მის მიმართ გამოიყენება ცენტრალური დეპოზიტარის წესებითა და განკარგულებებით გათვალისწინებული სანქციები.

## VI. ინფორმაციის მიწოდების ფორმა

6.1. მხარეებმა ერთმანეთს ინფორმაცია უნდა მიაწოდონ წერილობითი ფორმით.

6.2. მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია ინფორმაციის მიწოდების ფორმის შეცვლა.

## VII. დავების განხილვის წესი

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების რეალიზაციის დროს წარმოშობილი უთანხმოებები წყდება მხარეების მიერ მოლაპარაკებების გზით.

7.2. ერთმანეთს შორის უთანხმოებების მოლაპარაკების გზით მოუგვარებლობის შემთხვევაში მხარეებმა დავების დასახილველად უნდა მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## **VIII. კონფიდენციალურობის პირობები**

8.1. მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ერთმანეთისთვის წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გადაცემული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კონფიდენციალურად ჩაითვლება ინფორმაცია, რომელიც ყველასთვის არ არის ხელმისაწვდომი (ე.ი. არ არის მიღებული მარეგულირებელი ორგანოდან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან, პერიოდული ანგარიშებიდან და გამოქვეყნებული საინფორმაციო მასალებიდან) და რომლის გამოყენებამ შესაძლებელია ხელშეკრულების რომელიმე მხარეს მიაყენოს მორალური ან მატერიალური ზიანი.

## **IX. ფორს-მაჟორი**

9.1. ამ ხელშეკრულებით მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება შეჩერდეს ფორს-მაჟორული პირობების არსებობისას. ვალდებულებების შესრულების ვადები გადაიწევეს შესაბამისად იმ დროით, რომლის განმავლობაშიც ექნება ადგილი აღნიშნულ გარემოებებს.

9.2. ფორს-მაჟორულ პირობებში იგულისხმება იმგვარი გარემოებები, რომლებიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს, მათ შორის ელექტროგადამცემი ან კავშირგაბმულობის ხაზის დაზიანება და ზეგავლენას ახდენს მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

## **X. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი პირობების ცვლილების წესი**

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს წევრობის სტატუსის შეწყვეტამდე.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს ნებისმიერი მხარის მიერ. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის შესახებ მეორე მხარეს ეცნობება ამ ვადამდე 15 კალენდარული დღით ადრე, წერილობითი სახით. დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული ბეჭდით.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ცენტრალურ დეპოზიტართან, მეორე – წევრთან.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია, თუ შედგენილია წერილობით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.

## XI. მხარეთა რეკვიზიტები

ცენტრალური დეპოზიტარი

წევრი

0162, ქ. თბილისი  
ი.ჭავჭავაძის გამზ. 74ა

ტელეფონი: 22.07.18/49  
ფაქსი: 25.18.76  
ელ.ფოსტა:

გენერალური დირექტორი

---

(გ.სანაძე)

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის  
წევრობასთან დაკავშირებული ტარიფები

№	მომსახურების სახე	ანგარიშის მფლობელის კატეგორია*	გადასახდელი	შენიშვნა
1	დეპოზიტარულ სისტემაში რეგისტრაცია	1	\$ 5 000	გადახდა ხდება გაწევრიანების განაცხადის წარდგენისას
	“_____”	2	\$ 3 000	“_____”
	“_____”	3	\$ 1 500	“_____”
2	დეპოზიტარული სისტემის მონაწილის მომსახურების ყოველთვიური შესატანი	1	\$ 300	ყოველთვიურად, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ცენტრალური დეპოზიტარის ინვოისის შესაბამისად
	“_____”	2	\$ 200	“_____”
	“_____”	3**	\$ 100	“_____”

ტარიფები მოცემულია დღგ-ის გარეშე.

გადახდა წარმოებს ლარებში ეროვნული ბანკის კურსით, გარდა უცხოეთიდან არარეზიდენტი წევრის მიერ განხორციელებული გადახდებისა.

გადასახდელების, საურავის და ჯარიმების გადახდა, თუ სხვა რამ არაა მითითებული, უნდა მოხდეს მომდევნო თვის 5 რიცხვამდე, წევრის მიერ პირდაპირი გადახდით ან ცენტრალური დეპოზიტარის მიერ წევრის საკუთარი ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის გზით. 5 საბანკო დღის განმავლობაში პირდაპირი გზით გადაუხდელობის ან საკუთარ ანგარიშზე სახსრების არქონის შემთხვევაში, დეპოზიტარს უფლება აქვს ანგარიშის მფლობელს დააკისროს საურავი გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

\* შესაბამისი მომსახურება შეიძლება გაეწიოს მხოლოდ მითითებულ პირებს:

1 - კასტოდირი წევრს, 2 - ინსტიტუციონალურ წევრს, 3 - მოვაჭრე წევრს

\*\* არსებული წევრებისათვის ძალაში შედის 2012 წლის 1 იანვრიდან აღნიშნულ თარიღამდე ისინი განაგრძობენ ყოველთვიური საწევრო შესატანის გადახდას ამ ტარიფის დამტკიცებამდე არსებული ოდენობით.